

# დემოკრატიული საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

### შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მორიგი კომედიან.

სტ. ხედლეგვი—საქ. დამოუკ. გამოც. წლ. თავი.  
იან ოტმარ-ბერსონი—საქ. დამოუკ. ბრძოლაში.  
ნიკვ ტუნტულიდი—«26 მაისის» 20 წელი.

Albert Malche—საქართველოსთვის.

Madame Aillaud.

ნაჟრი—წერილი ამერიკიდან.

ს. ფირცხალავა—ძვირფასი წიგნი.

26 მაისის დღეობა.

ფრანგული პრესა. და სხვა.

### მ ო რ ი გ ი კ ო მ ე დ ი ა

12 ივნისს მოხდა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების უზენაეს საბჭოთა არჩევნები. ამ ამბავის გამო მოსკოვის განუთვნი სახელის კორესპონდენტებით და სურათებით, ხოლო გაზ. «იზვესტია» იმასაც გვატყობინებს, რომ ეს დღეს «ყველაზე უფრო სასიხარულო და ბედნიერ დღედ» ჩაითვლება ქართველ და სომხის ერთა აღორძინების ისტორიაში.

სომხებს და ქართველებს წილად ხდომია დიდი პატივი: საბჭოთა კავშირში მოზინავე ერებში ესენი არიან პირველნი, რომ აირჩიეს წარმომადგენლები თავიანთ რესპუბლიკების უზენაეს საბჭოში; სხვა რესპუბლიკებში კი ხალხი ჯერ კიდევ მზადებაშია ასეთ ბედნიერ დღისთვის.

ტფილისში და აჭარაში, აფხაზეთში და სვანეთში, ერევანში და სევანის ტბის ნაპირებზე, ყოველგან, საქართველოს და სომხეთის ყველა კუთხეებში, ხალხი ცეკვით და სიმღერით მისულა თურმე საარჩევნო ყუთებთან; აქ ყოფილან მოხუცი და ახალგაზრდანი, ქალნი და ვაჟნი, ქალაქის და სოფლის მცხოვრებნი, ინვალიდებიც, ბრმებიც და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ჩამოსული და ადგილობრივი «სტახანოველები». ყველა აუწერელ სიხარულში ყოფილა; ბათუმში, მაგალითად, 121 წლის მოხუცს გიორგი ახნელაძეს ხმა რომ მიუცია, აღელვებულს და აცრემლებულს ასე განუცხადებია: «ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასეთ ბედნიერ, ასეთ სასიხარულო დღეებს ველირსებოდიო» («იზვესტია»—14 ივნისის)..

ასე ითხზება და ასე იკანმება იმ მორიგი კომე-

დიის უკანასკნელი მოქმედება, «სტალინის ახალი კონსტიტუცია» რომ ეწოდება. ამ ორი წლის წინად ამ «ახალ კონსტიტუციაში» შეტანილ დემოკრატიულ ფრანგოლოგიით, საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტებმა მოინდომეს უცხო ქვეყნებისთვის, ევროპისთვის და ამერიკისთვის, თვალის ახვევა—საბჭოთა კავშირის მოსახლეობისთვის და კავშირში შემავალ ერებისთვის თითქოს თავისუფლების და უფლებრივი გარანტიების მინიჭებით. ბევრნი, უცხოეთში, მზადაც იყვენ, ეცნოთ ასეთი გარდატეხა საბჭოთა პოლიტიკაში, დაეჯერებიათ და ერთხელ კიდევ ნდობა გამოეცხადებიათ საბჭოთა ხელისუფლების განცხადებისთვის; მით უფრო რომ, ასეთ გარდატეხაში უნდოდათ დაენახათ, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობიან ცხოვრების დამყარება იმ მრავალ მილიონიან ერების სახელმწიფოში, რომელიც ერთ უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკურ და ეკონომიურ წონასწორობისთვის მსოფლიოში.

მაგრამ ამის მსურველნი და ამის მორწმუნენი სასტიკად მოსტყუედნ. მილიონობით და მრავალ ენაზე საპროპაგანდოდ გამოცემულ ამ ახალ კონსტიტუციის ტექსტი ქალაღზე გამშრალი არ იქნებოდა, რომ უსასტიკეს ტერორის ქარიშხალმა დაჰბერა საბჭოთა კავშირის სივრცეზე; სწორედ ამ კონსტიტუციას, თითქოს განხრახ, მიაყოლეს თვით ბლოშევიკების მიერ ნაქებ და ნადიდებ სამხედრო პირების, დიდი მოხელეების, ბლოშევიზმის ძველი ბურჟების და ნაცად პროპაგანდისტების დასჯა და

დახვრეტა, გარეშე ყოველივე ელემენტარულ გარანტიებისა და ხშირად სრულიად გაუსამართლებლად; ხოლო ვინ მოსთვლის იმას, თუ რამდენი არიან არა-წარჩინებული პიროვნებანი, არა-ბოლშევიკები და საერთოდ უბრალო მოქალაქენი, ამ ახალ «კონსტიტუციონალისტების» სისხლიან ტერორის მსხვერპლი რომ ხდებიან ყოველ დღე და განუწყვეტილად ყველაფერ ამას რომ ტყობილობენ უცხოელები, და იმათგან ბევრი საბჭოების მეგობრებიც, ჰკარგავენ საბჭოთა კავშირში კანონიერების და წესრიგის დამყარების უკანასკნელ იმედს. ასე და ამნაირად ახალ კონსტიტუციას, დაწერილს საგარეო პროპაგანდისტების უფრო, ვინემ შინ მოსახმარად, საბჭოთა ხელისუფლებამ უცბად და დაუბრუნებლად თვითონ ახადა ნიღაბი.

რისთვის და ვისთვის-ღა ხდება ახლა არჩევნები ამ კონსტიტუციით დაწესებულ ეგრედ წოდებულ «უზენაეს საბჭოებში»? ამ კონსტიტუციის ცხოვრებაში გასატარებლად? მერე სჯერა საბჭოთა მოსახლეობას რამე ამ კონსტიტუციის, ფორმალურად ეს კონსტიტუცია თუნდაც რომ ანიჭებდეს მას რაიმე უფლებას ან რაიმენაირ შეღავათებს? და რა უფლებას ანიჭებს მაინც ახალი კონსტიტუცია იმ ერებს და იმ წარმომადგენლებს, ვითომ ასეთის სიხარულით რომ ირჩევენ 12 ივნისის ქართველები და სომხები და, თქმა არ უნდა, აირჩევენ ისეთივე «სიხარულით» სხვა ერებიც, რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებში?

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ძირითად კანონების მე-13 მუხ. ამბობს, რომ «საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე 14 მუხლის ფარგლების გარეშე, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის სუვერენულ უფლებებს»-ო; ხოლო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სწორედ ამ მე 14 მუხლის ძალით ყველაფერი ის, რითაც სულდგმულობს სახელმწიფო კი არა, უბრალო თვითმართველობაც, ეკუთვნის სავსებით «კავშირს» ანუ ცენტრალურ ხელისუფლებას; ამიტომ ეროვნული ანუ მოკავშირე რესპუბლიკები, უსასხროდ და უუფლებოდ დატოვებულნი, სავსებით ამ ცენტრალურ ხელისუფლების მოწყალებაზე არიან დამოკიდებული. მხოლოდ ეს ერთად ერთი მე-14 მუხლი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის უკვე სასაცილოდ ხდის ეროვნულ რესპუბლიკების რაიმე «დამოუკიდებელ და სუვერენულ უფლებებზე» ლაპარაკს; ხოლო ასეთი მუხლები სხვებიც მოიპოვება ამ კონსტიტუციაში. ზედმეტია ხომ ლაპარაკი კონსტიტუციის განმარტებების და იმის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკის შესახებ, რაც სავსე-

ბით აუქმებს ნასახსაც იმ, უკაცრავად პასუხია, თვითმართველობისას, რომელნიც მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციით თითქოს არიან ნაგულისხმევი. ეს ახარებს და ამხიარულებს თავისუფლების მოყვარე ქართველ ან სომხის ერს? ვინ უნდა დაიჯეროს ასეთი ამბავი!

რა უნდა გააკეთონ მაინც საქართველოს, სომხეთის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ახლად არჩეულ «უზენაეს საბჭოებში»? ცხადია ის, რაც გააკეთათ თვით საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ ამ რამდენიმე თვის წინად, აგრედვე დიდი ზემოთ და «სიხარულით», მოსკოვში რომ შეიკრიბა: «ურას» ძახილით წინასწარ დამზადებული რეზოლუციების მიღება და გაუთავებელ «ვაშას» ძახილით და ფეხზე ადგომით სტალინის თაყვანისცემა.

და არც რისიმე გასაკეთებლად ირჩევენ საბჭოთა რესპუბლიკებში «უზენაეს საბჭოებს»; მათი დანიშნულებაა პარტიულ და არა-პარტიულ ხალხის თავის მოყრა სტალინის საქებ-სადიდებლად; აი ამ დანიშნულებისთვისაა რომ მოსახლეობის 99 პროც. ცეკვით და სიმღერით მიდის საარჩევნო ყუთებისაკენ. «შიში შეიქმს სიყვარულსა». მეტი რამე დანიშნულება ამ არჩევნებს და ამ «უზენაეს საბჭოებს» რომ არ აქვს, ამას ახლა ბოლშევიკებიც აღიარებენ. ასე მაგალითად: სოფ. მარანიდან კოლხოზის «ახალი სხივის» წევრები გორში ჩამოუყვანიათ არჩევნებისთვის; გაზ. «იზვესტიას» თანამშრომელს სურს აღმოაჩინოს ამათში ცნობილი და ორდენებით დაჯილდოებული პირები. «თქვენ რითი ხართ ცნობილი» — ეკითხება იგი ერთ კოლხოზელს. «მე იმით ვარ ცნობილი — უპასუხებს იგი ამაყად — რომ ხმას ვაძლევ სტალინის საქმესო». «ეს სიტყვები უდიდეს ისტორიულ ჭეშმარიტებას შეიცავს» — ასკვნის «იზვესტიას» კორესპონდენტი (ნომ. 14 ივნისის). თავისი ამბავი, რასაკვირველია, მათ უკეთესად იციან და არც ჩვენ გვეთქმის რამე ამის მეტი.

ცხადია, საბჭოთა კონსტიტუცია ახალიც, როგორც წინანდელი, და საბჭოთა რესპუბლიკების ყველა საბჭოები, ახლანდელი, როგორც ძველები, სტალინის «საქმის» მადიდებელი ტრიბუნებია; ხალხი იძულებითი მონაწილეა იმ კომედიის, დროგამოშვებით სტალინის პიროვნების განსადიდებლად რომ არის ხოლმე გათამამებული; ამ დროს ყველა იძულებულია იქ იცეკვოს, იმღეროს, იცინოს და იმხიარულოს. მაგრამ... ვინ არ იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ტირილზედაც უფრო მწარეა! ქართველი ერის დღევანდელი ეს «მწარე სიცილი» ნამდვილ სიხარულით მაშინ შეიცვლება, როცა იგი დაკარგულ თავისუფლებას დაიბრუნებს და საკუთარ თავის სრული პატრონი გახდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების

წლის თავზე \*)

26 მაისს 1918 წელს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით ზენით გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აქტი.

აღსრულდა ესე მოვლენათა და ისტორიულ უფლებათა გარდაუვალი კანონის მეოხებით იმ დროს, როდესაც შესუსტდა რუსეთის ცენტრალური მთავრობის დამპყრობ ძალების მუხრუჭი. დიალაც ამ ფაქტით უნდა გარემორტყოდა, გადაჯაჭულიყო და გადაბმოდა ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილ თავის ეროვნულ და კულტურულ წარსულს. 117 წლის განმავლობაში გაწყვეტილი ჯაჭვი უნდა კვლავ გამოვლენულიყო თავის უცვლელ დიდებით და გზა გაეკაფა გარედ, აქამდის ასე თუ ისე მიმალულს, მომქმედ ძველ ქართულ სახელმწიფოებრივობას.

სრულის ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ ერს აქვს თავისი სახელმწიფოებრივობის ძველი ტრადიცია, რაიც ეროვნულ ფართე მასაში დაუვიწყარი, ჩაუმქრალი, აღმოუფხვრელი და ძირ ამოუგდებელი დარჩა დამპყრობელთა მიერ: გაგება და დამორჩილება საკუთარ სახელმწიფო ხელისუფლებას.

ამიტომაც თავიდანვე დაექვემდებარა მას არა მარტო მიტომ, რომ ხელისუფლება იყო მემარცხენე პირებისაგან, რომ მთავრობა შესდგებოდა არა მთავრობითი არისტოკრატისა და მეფისაგან, არამედ ხალხისაგან—პროლეტარულ წრისაგან,— არამედ უმთავრესად მიტომ, რომ მოთხოვნილება საკუთარი სახელმწიფოებრივობის ქართველ ერში იყო მოთხოვნილება საერთო შეგარძობა-შეგნებისა—ორგანიული მოთხოვნილება.

ის გარემოება, რომ საქართველოს ხელისუფლება 1918 წელში არ იყო წარმომადგენლობა მაღალი კლასის, არამედ ერის ღრმა-ფართე ფენების, აძლევდა მას უფრო დიდს დასაყრდნობს, უფრო ღრმა საძირკველს უყრიდა სახელმწიფოს და მით უფრო ზრდიდა წითელი იმპერიალიზმის ძალადობის და უკანონობის იმ სისაძაგლეს, რაც მოხდა კულტურ-

რულ მსოფლიოს თვალსწინ: ასე ყაჩაღურად ერის კანონიერ ხელისუფლების, კანონიერ მართველობის დამხობას.

ეს ენტუზიასტური შემოკრება ერის თავის საკუთარი მთავრობის გარშემო არ ანცივიფრებდა მას, ვინც იცოდა, როგორ შორეულ—ღრმა ძველ კულტურასთან არის გადამმული ამ ერის ცხოვრება. და მართლაც საქართველოს კულტურული ტრადიცია, როგორც ეს გადმოცემებიდან და ისტორიიდან ვიცით, არა სჩანს, რომ უფრო ახალგაზდა იყოს ვინემ საბერძნეთის და რომის ტრადიციები.

და თუ ქართველთა ერმა, რომელმაც საუკუნეთა წინ აირჩია თავის დასაცავად საუკეთესო არე, აუღებელ კავკასიის მთებზე მიბჯენილი, და არ ითამაშა ისტორიაში ცნობილი სისხლიანი როლი, როგორც ეს ახლო მყოფ ასურეთმა, მეზობელ სპარსეთმა—ან კიდევ ყოვლად შემძლე არაბეთმა,—ეს მხოლოდ მიტომ, რომ ის იყო და არის ერი, რომლის დამახასიათებელი თვისებაა რაინდობა და არა შემთხვევაში სხვისი დაპყრობა-დამონავება.

ქართველი ერი უნდა ჩავთვალოთ იმ ერთა ჯგუფში, რომელთაც უწოდებენ ავტოქტონურ—შემომქმედთ,—იმავე ერთა ჯგუფში, რომელსაც ჩვენც პოლონელები დღესაც ვეკუთვნით. აღნიშნულ ერთა დამახასიათებელი თვისებაა, რომ, როდესაც აღწევენ თავის კულტურის უმაღლეს განვითარებას და სახელმწიფოების უაღრეს სიძლიერეს, როდესაც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განიცდიან თავის ოქროს ხანას, არ ისწრაფიან სამხედრო დაპყრობისაკენ, როგორც ერთი დამპყრობთა-აგრესიულ ჯგუფიდან, არამედ ანვითარებენ და ამდიდრებენ შინაგან ცხოვრებას როგორც მატერიალურად ისე სულიერად, ამყნიან და აფართოებენ მეცნიერების და ხელოვნების მიღწევებს და ცდილობენ ამით მეზობლებზე მორალურ და კულტურულ გავლენის მოხდენას; მოქმედებენ მათზე ინტელექტუალური შემოქმედებით, ხოლო სრულებით არ ლაშობენ მათი ტერიტორიების დაპყრობას.

და მსგავსად იაგელონთა მეფობის დროის პოლონეთისა, მე-XII საუკუნეში საქართველო აღწევს რა კულტურის და სახელმწიფოებრივობის უმაღლეს განვითარებას და სიძლიერეს, ასე ვთქვათ, სტკებმა ამ მდგომარეობით და ერთ წუთსაც არ იჩენს მიდრეკილებას, დაიპყროს მეზობლები.

\*) ჩვენი ძვირფას პოლონელ მეგობრების წერილები მივიღეთ, როცა მაისის ნუმერი უკვე გამოასული იყო, ამიტომ ვბეჭდავთ ახლა.

იმავე საუკუნეში სახელმწიფოს ქვეშაობით მოქირანახლე დავით მე-III, თამარ მეფის და მგოსანთა უგვირგვინო მეფის შოთა რუსთაველის—საქართველოს კულტურის მემკვიდრის—დროს, საქართველო ემსახურება სამართლიანობას, რათა დაამტკიცოს, რომ არა დაპყრობა და სუსტ ერთა ექსპლუატაცია აძლევს მძლავრ ერებს კულტურის და ცივილიზაციის სრულ განვითარების საშუალებას.

როდესაც ვეცნობით საქართველოს ისტორიას, ნათლად ვხედავთ, რომ ამ ერის ცივილიზაციის უმაღლესი საფეხური ნაყოფია მისი საკუთარი შრომის. ეს ცივილიზაცია ეყრდნობა საკუთარ მის მიერვე შექმნილ საფუძვლებს და საუკუნეთა განმავლობაში თავმოყრილ კულტურულ განძეულობის და აგრედევე მატერიალურ სიმდიდრის ფართო წარმატებას.

პოლონეთის და ქართველი ერის წარსული ცხოვრების და მათი თვისებების ერთიგვიეობა თვალში გეცემათ. ეს მსგავსება, ეს ანალოგიები სჩანს სხვა და სხვა მიმართულებით, მაგალითად ქალის პატივისცემაში.

პრივილეგიური მდგომარეობა ქალის-დედის და ქალის დიასახლისის პოლონეთში ძალზე დაშორებულია დასავლეთ ევროპის გერმანულ და რომანულ ერების დედათა მდგომარეობას.

ამასვე ვხედავთ საქართველოში. ქალი, თითქმის მონა აღმოსავლეთის მუსულმანურ ერებში (კავკასიის მუსულმანური ერები გამონაკლის შეადგენენ—თავისებური ჩვეულებებით)—და ქალი, თითქმის მეფე ქართულ ოჯახში—ეს მეტად დაშორებულია ერთი მეორეზე. მით უფრო ნათელია მსგავსება პოლონეთის და ქართველი ქალის მდგომარეობის.

და წარსული დამოკიდებულება დამპყრობ რუსეთისა პოლონეთის და ქართველ ერთან? მოსკოვის იგივე გენერლები, რომლებიც თავისუფლებისთვის ბრძოლას ახშობდენ კავკასიაში, მოდიოდენ შემდეგ პოლონეთში ანალოგიური «მისიით». ასეთები იყვენ გენ. დიმიჩი, ასეთი იყო შემდეგ «თავადი პარკევიჩი ერივანსკი», რომელიც გამარჯვების გზას უკაფავდა რუსეთს პოლონეთზე 1831 წელში, ვისლისაკენ ძლევა მოსილ მსვლელობით.

იგივე გზა მოშინჯა 90 წლის შემდეგ ტუხაჩევსკიმ, მაგრამ წაწყდა იოსებ პილსუდსკის გენიალობას.

და რუსეთის ბრძოლა რუსის კულტურაზე გაცილებით მაღლა მდგომ პოლონელთა და ქართველთა წინამდევ?

ერთ დროს ცნობილი იყო რუსეთის გამოჩენილი მოღვაწის და დაპყრობილ ერთა გამარჯვებელის სიტყვები, რომელიც ერთ უცხო მესაუბრესთან სთქვა—შეუძლებელია რუსეთმა გადაავაროს პოლონელები, რადგანაც უკანასკნელნი კულტურით მაღლა სდგანან, უბრალოდ რომ ვთქვათ, უფრო «ქვიანები» არიან რუსებთან შედარებით, მაგრამ: «ტაკ მი ის დო სვოევო უროვნია დოგლუბიმ».

რუსეთი, თანახმად კატკოვის თქმისა, სისტემატიურად და თანაბრად «აჩლუნგებდა» როგორც პოლონეთს ისე საქართველოს; ართმევედა მათ და კეტავდა უნივერსიტეტებს, უმაღლეს სკოლებს და გიმნაზიებსაც კი, ავიწროებდა სწავლა განათლებას სოფლებში და საზოგადოდ ყოველგვარ ზომებს ღებულობდა კულტურულ განვითარების შეფერხებისთვის.

პოლონეთში ცნობილია ეს ფართო მსგავსება ორივე ერის წარსულის და მიტომაც აქვს ადგილი პოლონელ საზოგადოებაში ამ, არა საგანგებოდ შექმნილს, არამედ სრულიად ბუნებრივ სიმპატიას საქართველოს და ქართველებისადმი. კიდევ უფრო ძვირფასია ეს მსგავსება დღეს, როდესაც საქართველო წევრია კავკასიის ერთა შეთანხმების კავკასიის კონფედერაციის სახელწოდებით, როდესაც ის ამავე დროს ცნობილი და აქტიური წევრი და მხურვალე მომქმედია მოსკოვის მიერ დაპყრობილ ერთა დიდ გამანთავისუფლებელ მოძრაობის, რომელსაც ვიცნობთ ყველანი და რომელიც მონათლულია პრომეთეს მოძრაობის სახელით.

დევ, ქართველნი, თქვენი დამოუკიდებლობის ოცი წლის თავზე პრომეთეს ლეგენდალურ ცეცხლს მოეტანოს თქვენთვის ის დიდი და ცხოველყოფილი სითბო, რომელიც დაადნობს და გაანაცარტვერებს ბოლშევიკების კაშმარულ იმპერიალიზმის ყინულად ქცეულ ბოროტობას.

სტანისლავ სეფლეცკი

სენატორი,

აღმოსავლეთის ინსტიტუტის  
თავმჯდომარე.



საპარტიო დამოუკიდებლობის ბრძოლაში

ოცი წლის წინ—26 მაისს 1918 წ. ვეშველებოდი ჩემს ქართველ მეგობრებს, რომლებმაც პირველად 1801 წლიდან, ალექსანდრე პირველის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, გამოაფინეს ქართული ეროვნული დროშა.

ავაფრიალეთ საერთო ძალით ეს ნათელი სიმბოლო დამოუკიდებლობისა ბოროტების სადგურის თავზე, სადაც გადამისროლა მე დიდი ომის ბედმა, მოწამე ვივაგი თქვენი მშვენიერი და გმირული სამშობლოს დამოუკიდებლობის პირველი წლის, ხოლო ჩემს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღებით თვალს ვადევნებდი იმ ქვეყნის ამბების განვითარებას, რომელმაც გულითადი მასპინძლობა გამიწია საერთაშორისო ომის დროს და სადაც დავტოვე ბევრი პირადი მეგობარი. მოცებდა სწრაფი განვითარება, რასაც საქართველო აღწევდა მისი აღორძინების პირველ წლიდანვე. უაღრესი პატივისცემით თვალყურს ვადევნებდი საბჭოთა ბანდებთან ბრძოლებში პირველ დღეების გამარჯვებების მსვლელობას, ხოლო ფაქტი, რომ გმირი ერი დაბოლოს დაეცა რიცხვით გადაჭარბებულ და ძლიერ მტერთან ბრძოლაში, ოდნავად არ ამცირებს საუკუნეთა მანძილზე ცნობილ ქართული ხმლის დიდებას და მომავალ გამარჯვების შესაძლებლობას, რასაც ისტორიული გარდაუვალობა მოითხოვს.

კარგად ვიცნობ რაინდ ქართველ ერს, რომელთანაც ჩემი სიყმაწვილე გავატარე, ვიცნობ მის ისტორიას სახვს გამარჯვებებით და მწამს მისი დიადი და ბრწყინვალე მომავალი.

მიდასტურებენ ამ რწმენას განცდილი შთაბეჭდილებანი ჩემი ერთი კვირით საქართველოში ყოფნა 1934 წელში, სადაც, მიუხედავად დღევანდელ ტრადიკულ სინამდვილისა, საშვალეა, მომეცა სიხარულით შემენიშნა, რომ ქართველთ სული არამც თუ არ დასუსტებულა, არამედ უფრო გააქებულა ყოველდღიურ შეურთიგებელ ბრძოლაში. შევნიშნე იქ გაშმაგებული თავდაცვა პოლიტიკურ-კულტურული, და ეკონომიური ცხოვრების ყოველ დარგში, და ეს ბრძოლა არ არის უნაყოფო. ამ ბრძოლის წყალობით დღევანდელმა საქართველომ, მიუხედავად მოსკოვის საშინელი ტერორის და ეკონომიურ ცხოვრების გალატაკების, არ დაჰკარგა თავისი ეროვნული თვისება და იბრძვის აღრინდულად.

უაღრესი პატივით გავსჯავალუღია ქართველი ერის ფართე მასა, გავლენას ახდენს წარჩივებულ კომუნისტებზედაც კი, რასაც ამოწმებს 1937 წ. მასიური გალაშქრე-

ბა საქართველოს საბჭოთა მთავრობის წევრების წინამდევ.

პირადად ჩემთვის ექვს გარეშეა, რომ არა ერთმა ქართველმა კომუნისტმა შეიგნა თავისი შეცდომა და სასტიკი დანაშაული სამშობლოს წინაშე ჩადენილი და დღეს თანამშრომლობს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებთან, რომლებთანაც ერთად მიაქვთ ეროვნულ განთავისუფლების სამსხვერპლოზე თავიანთი სისხლი.

საქართველო იბრძვის არა მარტო თავის განთავისუფლებისთვის. რაც მე ჩემი მოკლე დროთი კავკასიაში ყოფნისას ვნახე, ეს მაძლევს ნებას ვსთქვა, რომ საქართველო წარმოადგენს ცენტრს, საიდანაც ბრძოლის იდეა უუქს ჰფენს მეზობელ ერებს. ეს ჩემი დასკვნა ბოლოს დამტკიცდა იმ ფაქტით, რომ მოსკოვმა 1936 წ. დაშალა ეგრედ წოდებული კავკასიის ფედერაცია. საბჭოებმა ეს იმიტომ ჰქმნეს, რომ მოეწყვიტათ საქართველოდან აზერბაიჯანი და სომხეთი, რომ შეეკვეცათ საკმაოდ ნათელი ურთიერთობა კავკასიის ერთა, რომელთა შორის ყოველდღიურად მწიფდება შეგნება საერთო მტერთან შეთანხმებული ბრძოლის აუცილებლობის.

ქართველი ერის სული ძალადობით იქნა დაპყრობილი; გარუხების ტენდენცია წინამდევობას ეხეთქება ტფილისის მილიციელთა შორისაც კი, რომლებიც პასუხს არ აძლევენ რუსულათ მოსაუბრეთ, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს იცინა.

თქვენმა მეცნიერებმა, ლიტერატორებმა და არტისტებმა შეინახეს და მომავალშიაც შეინახავენ თქვენი ძველი კულტურის დაუფასებელ სიმდიდრეს და იცავენ მას ბარბაროზებისაგან.

ჩემი თვლით ვნახე საქართველო მკვდრეთით აღმდგარი ოცი წლის წინ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. 1934 წელს ვნახე საქართველო წამებული, მაგრამ არა ნაკლებ გმირული.

მოხუცებულ ბერის მიერ დატარებულმა—ერთხელ კიდევ ქედი მოვიხარე ძველი მცხეთის კათედრალში საქართველოს დიდ მეფეთა აჩრდილებს წინ.

და დიდებულ ბაგრატიონების საფლავთა, თუ საქართველოს განმანათლებელ წმინდანინოს საკანში—ყოველგან წავაწყვი დიოდრეკელ ქართულ ეროვნულ სულს, რაც ჰქმნარიტი თავდებია მომავალ თქვენი გამარჯვების.

რაინდ ქართველი ერის გმირულ ბრძოლას თანახლავს ძმური თანაგრძნობა მის პოლონელ მეგობრებისა, რომლებს აკავშირებს საქართველოსთან 150 წ. საერთო ბრძოლა დამპყრობ მოძალადებთან. იან ოტმარ-ბერნსონი.

## «26 მაისის» 20 წელი

ბედნიერ შემთხვევამ მომცა საშუალება წამეკითხა «დამოუკიდებელი საქართველოს» უკანასკნელი «26 მაისის» ნომერი. რამდენ ტკბილსა და ამავე დროს მწარე განცდას აღძრავს ჩემში «26 მაისი!» ის, როგორც ყველა ქართველის, ისე ჩემი ცხოვრების საუკეთესო თარიღია. მე შთამომავლობით ბერძენი ვარ, მაგრამ საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა. იქ დავიბადე, იქ აღვიზარდე, იქ ვეწიარე ცხოვრების პირველ წუთებს. არა ერთხელ დავმტკბარვარ ტურფა საქართველოს მშვენიერი, ლალი ცხოვრებით. ამიტომ ყოველი მისი ტკბილი თუ წმარე განცდები იგივეა ჩემთვის, რაიც ყოველი ქართველისათვის. მე ცოცხალი მოწამე ვარ ქართველი ერის თავდადებულ, განუსაზღვრელ ბრძოლისა მისი თავისუფლების მესაფლავეთა წინააღმდეგ. უკვე რვა წელია, რაც დავსტოვე მომხიბლავი საქართველო, მაგრამ კვლავ ახლად სდგას ჩემ თვალწინ ის უსაზღვრო, უანგარო თავდადება, რომლითაც ავსებს ქართველი ერი თავის სამშობლოს თავისუფლების სამსხვერპლოს. ამიტომ, 26 მაისის მოგონება კიდევ უფრო

აცხოველებს ჩემში ამ წმიდა და მწარე გრძნობებს. მაგრამ ვიცი, რომ მაისი ცხოვრების განახლების, გადახალისების თვე არის, მაისი დავრდომილთა და სნეულთა განკურნების თვე არის. იგი მავრალთა და ჩაგრულთა ბრძოლის, მათი აღდგომის თვე არის. მაისში,—26 მაისს—დააღწია საქართველომ მონობას თავი,—26 მაისივე დაუბრუნებს მას დროებით დაკარგულ თავისუფლებას.

«26 მაისის» ტკბილი განცდებით აღზნებული მე და ჩემთან ერთად ბევრი სხვა პონტოელი ბერძენი, ტურფა საქართველოს ცხოვრებით დამტკბარნი უერთებთ ჩვენს ხმას ქართველი ერის ბრძოლას და მხურვალე სალამს მოვეუძღვინით მის მსცოვან ბელადს და მებაირადეს ბ-ნ ნოე ყორანასა და მასთან ერთად მთელ მებრძოლ ქართველობას.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი ერის შეუპოვარი, დაუღალავი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება და რაინდი ერი კვლავ აღადგენს თავის დაკარგულ სუვერენობას.

გქიმი ნიკო ტუნტუღიძე,  
საბერძნეთი. ქ. პირეი.

## W ROCZNICĘ OGŁOSZENIA NIEPODLEGŁOŚCI GRUZJI

Dnia 26 maja 1918 roku prezydent Noe Zordania w imieniu gruzińskiego rządu i parlamentu ogłosił uroczyste akt Niepodległości Państwa Gruzji.

Stało się to siłą wypadków i siłą niezmiennych praw historycznych z chwilą, gdy osłabł nacisk centralnego rządu najeźdźcy rosyjskiego. Bowiem z chwilą powstania tego stanu rzeczy musiała się skupić w sobie i sprężyć odwieczna więź kulturalna i narodowa Gruzinów, musiała, pomimo 117 lat zerwania i zawieszenia, skrzystalizować się z powrotem w swej niezmiennionej chwale i ujawnić się nazewnątrz, dotąd w ukryciu, tak czy inaczej, działająca stara państwowość gruzińska.

Należy tu podkreślić z całym naciskiem, że naród Gruzinów posiada starą tradycję własnej państwowości i niezapomniane, niewygaste, niewykorzenione z mas narodowych przez zaborcę, zrozumienie i potrzebę podporządkowania się nie cudzym, lecz własnym władzom państwowym.

To też naród gruziński pospieszył im się

podporządkować, i nie tylko dlatego, że władza ta składała się z ludzi nastrojonych lewicowo, że rząd Gruzji składał się wtedy nie z arystokracji rodowej i króla, jeno z ludzi wyszłych ze środowiska proletariackiego, ale dlatego właśnie i dlatego głównie, że potrzeba posiadania własnej państwowości była narodu gruzińskiego potrzebą powszechnie odczuwaną, potrzebą organiczną. To, że rząd Gruzji z roku 1918 był nie przedstawicielstwem wyższych klas, ale emanacją głębokich mas ludowych, dawało mu tym szersze oparcie, tym głębsze budowało pod nim fundamenty i tym bardziej powiększało rozmiary i ohydę gwałtu i zbrodni najeźdźców rosyjskiego czerwonego imperjalizmu, który ten prawy rząd na oczach całego cywilizowanego świata tak bezczelnie tej prawowitej władzy pozbawił.

To żywiołowe poprostu skupienie się narodu koło swego własnego gruzińskiego rządu nie mogło dziwić tych, którzy widzieli, jak głębokiej starożytności sięgają dzieje tego narodu. Bo też tradycja kultu-

ralna Gruzji, jak ją znamy z legend i historii, nie wydaje się bynajmniej młodszą od tradycji Grecji i Rzymu.

I jeśli naród Gruzinów, który obrał sobie przed wiekami za siedzibę narodową teren znakomicie obronny, bo oparty zapleczem o niezdobyte góry Kaukazu, nie odegrał w historii tak głośnej a krwawej roli, jak niedaleka Asyria, sąsiednia Persja, czy też w bliższych nam czasach wszędobylska Arabia, to jedynie dlatego, że był on i jest narodem o cechach rycerskich, ale zupełnie nie zaborczych.

Gruzję musimy zaliczyć do grupy narodów autochtoniczno-wytwórczych, do tej samej grupy, do której i my, Polacy, niewątpliwie należymy. Jest cechą charakterystyczną narodów wymienionej grupy, że kiedy znajdują się w najwyższym rozkwicie swej kultury i największej potęgi swej państwowości, kiedy, innymi słowy, przeżywają swój „wiek złoty”, nie dążą do podbojów wojennych jak narody z grupy zaborczej, ale rozwijając bogato życie swe wewnętrzne — jak materialne tak i duchowe, kultywując i mnożąc zdobycze w dziedzinie nauki i sztuki — idą raczej na moralny podbój sąsiadów, zmuszając ich do podziwiania wytworów swego intelektu, zaś wcale się nie ubiegają o zagarnięcie ich terytorjów.

I tak samo jak Polska w okresie panowania Jagiellonów, Gruzja w 12-ym wieku — wieku najwyższego rozkwitu jej kultury i najwyższej potęgi jej państwowości, delektuje się, że tak powiem, swym dobrobytem, wcale nie pragnąc podboju słabszych sąsiadów. W tym to wieku, za panowania króla Dawida III-go i królowej Tamary, jako włodarzy kraju i prawdziwego, choć niekoronowanego króla poetów Stothy Rusthaweli, jako przodownika jej kultury, Gruzja daje świadectwo prawdzie, że nie zabór i eksploatacja narodów słabszych daje narodom silnym szanse i możliwości rozwinięcia w pełni kultury i cywilizacji ludzkiej. Studjując historję Gruzji widzimy jasno, że najwyższy wykwit cywilizacji narodu jest wytworem jego własnej pracy, zbudowanym

na podłożu przez niego samego zdobytych i nagromadzonych skarbów wiekowej kultury oraz na szerokim fundamencie bogactw materialnych.

Analogja tu z dziejami i cechami narodów polskiego i gruzińskiego wprost uderzająca. A tych podobieństw, tych analogij jest bardzo wiele — weźmy chociaż stosunek do kobiety.

Uprzywilejowane stanowisko kobiety-matki i kobiety-gospodyni domu w Polsce, daleko odskakuje od podległego stanowiska jej siostr u narodów germańskich i romańskich w Europie zachodniej. To samo widzimy w Gruzji. Kobieta prawie niewolnica u narodów muzułmańskiego Wschodu (z wyjątkiem narodów muzułmańskich Kaukazu, gdzie panują swoiste obyczaje) i kobieta, prawie królowa w rodzinie gruzińskiej, to coś bardzo oddalonego od siebie. Tym bardziej widoczną jest analogja stanowiska kobiet Polski i Gruzji.

A dzieje stosunku zaborcy rosyjskiego do narodów polskiego i gruzińskiego?... Przecież ci sami generałowie moskiewscy, którzy tłumili powstania na Kaukazie, szli potem do Polski z analogiczną „misją”. Takim był generał Dybiec, takim był następnie „kniaź Paskiewicz Erywański”, który wytyczał w roku 1831 drogi zwycięstwa Rosji nad Polską pochodem swym za Wisłę. Tej drogi przecież próbował w 90 lat później Tuchaczewski, ale trafił na genjusz Józefa Piłsudskiego.

A walka Rosji z wyższym od rosyjskiego ogólnym poziomem kulturalnym Polaków i Gruzinów?..

Sławne przecież kiedyś było wyrażenie Katkowa, znanego rosyjskiego działacza i „obrusiciela”, który na zapytanie jednego ze swych zagranicznych rozmówców, że Rosjanie nie potrafią wynarodowić Polaków, bo ci ostatni stoją wyżej kulturalnie, są poprostu „mądrzejsi” od Rosjan, powiedział: „*Tak my ich do swojewe urownia dogłupim*”. (1)

(1) „*Więc my ich do swojego poziomu dogłupimy*”.

Rosja, w myśl wyrażenia Katkowa, systematycznie a równorzędnie „dogłupiała” tak Polskę jak i Gruzję, odbierając i zamykając im uniwersytety, wyższe szkoły, a nawet gimnazja, ograniczając nauczanie na wsi i wogóle wszystkimi sposobami uniemożliwiając rozwój kulturalny.

\*\*

W Polsce znane są szeroko te podobieństwa obu narodów, to też istnieje wielka niekulturowana, ale zupełnie naturalna sympatja społeczeństwa polskiego do Gruzji i Gruzinów. Tym bardziej cenne to jest teraz, kjedy Gruzja jest członkiem porozumienia narodów kaukaskich znanego pod nazwą konfederacji kaukaskiej, kiedy jest

ona również wybitnym i czynnym członkiem, a gorącym również działaczem wielkiego ruchu wyzwolenczego narodów podbitych przez Moskwę, który znamy wszyscy i zwiemy Ruchem Prometejskim.

Niechże Wam, Gruzini, w dwudziestą rocznicę waszej niepodległości legendarny ogień prometejski udzieli tego wielkiego wszechogarniającego ciepła, które roztopi i w niwecz obróci lodowe okowy koszmarnego imperjalizmu bolszewickiego!

*Stanisław Siedlecki,*  
 Senator,  
 Prezes Instytutu Wschodniego.

Warszawa, 17. V. 1938.

## GRUZJA W WALCE O NIEPODLEGŁOŚĆ

Dwadzieścia lat temu, dnia 26-go maja 1918 roku, pomagałem moim gruzińskim przyjaciółom, którzy po raz pierwszy od roku 1801, — roku aneksji Gruzji przez Aleksandra I-go — wywiesili gruzińską chorągiew narodową.

Wciążaliśmy wspólnymi siłami ów widomy symbol niepodległości na maszt dworca kolejowego w Borzomie, dokąd zagnały mnie losy wielkiej wojny. Byłem świadkiem pierwszego roku niepodległości Waszego pięknego i bohaterskiego kraju, zaś po powrocie do własnej Ojczyzny śledziłem z napiętą uwagą rozwój wydarzeń w kraju, który udzielił mi serdecznej gościny w latach wojny światowej i w którym pozostawiłem tylu osobistych przyjaciół. Podziwiałem szybkie postępy osiągnięte przez Gruzję w pierwszych latach jej odrodzenia. Z największą czcią śledziłem przebieg Waszych, początkowo zwycięskich, zmagania z sowieckim najeźdźcą, zaś fakt, że bohaterski naród uległ aż tak olbrzymiej przewadze sił napewno nie pomniejsza wielowiekowej chwały gruzińskiego oręża ani szans przyszłego zwycięstwa, którego domaga się sprawiedliwość dziejowa.

Znam dobrze rycerski Naród Gruziski, wśród którego spędziłem młodzięcze lata,

znam jego pełną glorii historję i wierzę w Jego wielką i promienną przyszłość.

Utwierdzają mnie w tym przekonaniu wrażenia, które odniosłem z tygodniowego pobytu w Gruzji latem 1934 roku, gdzie, pomimo tragicznej obecnej rzeczywistości, z radością mogłem stwierdzić, że duch Gruzinów nie tylko nie osłabł, lecz zahartował się jeszcze bardziej w nieustępliwej codziennej walce.

Zastałem zażartą obronę na każdym odcinku życia politycznego, kulturalnego i gospodarczego, przyczem wysiłki te nie są bezowocne. Dzięki tym wysiłkom nawet dzisiejsza Gruzja, pomimo straszliwego teroru i gospodarczego wyzysku ze strony Moskwy, nie zatraciła charakteru narodowego i walczy nadal.

Nastrój wysokiego patriotyzmu, ogarniający najszerze rzesze Narodu Gruziskiego, udziela się nawet wielu komunistycznym dygnitarzom, o czym świadczą masowe egzekucje wśród członków sowieckiego rządu gruzińskiego, dokonane w roku 1937.

Osobiście dla mnie nie ulega wątpliwości, że nie jeden gruziński komunista pojął dziś swój błąd i zbrodnię, popełnioną wobec ojczyzny i obecnie współdziała z niepodległościowcami gruzińskimi składając często



wraz z nimi krwawą ofiarę na ołtarzu narodowego wyzwolenia.

Lecz Gruzja nietylko walczy o własną niepodległość. Z tego, co w czasie krótkiej podróży po Kaukazie zdołałem zauważyć, Gruzja stanowi ośrodek, skąd idea walki promieniuje na sąsiednie narody. Spostrzeżenie to zostało potwierdzone przez fakt rozbioru tak zwanej Federacji Zakaukaskiej, dokonanego przez Moskwę w r. 1936. Sowiety dokonały tego rozbioru pragnąc odseperować Azerbejdżan i Armenję od Gruzji, by utrudnić coraz widoczniejsze zacieśnienie się więzów pomiędzy narodami Kaukazu, wśród których z każdym dniem dojrzewa świadomość konieczności skoordynowanej walki ze wspólnym wrogiem.

Duch Narodu Gruzińskiego ostał się wrogiej przemocy. Rუსyfikatorskie tendencje najeżdżcy napotyka ją nawet na opór tyflickich milicjantów, którzy nie odpowiadają na pytania zadane po rosyjsku, nawet jeśli ten język znają.

Wasi uczeni, literaci i artyści przechowali i przechowują nadal bezcenne skarby Waszej starożytnej kultury, chroniąc je przed zakusami barbarzyństwa.

Widziałem na własne oczy Gruzję zmartwychwstającą dwadzieścia lat temu do niepodległego życia. W roku 1934 widziałem Gruzję męczeńską, lecz nie mniej bohaterską.

Oprowadzany przez sędziwego mnicha, raz jeszcze złożyłem hołd w starożytnej katedrze Mccheti cieniem wielkich monarchów Gruzji.

I na grobach sławnych Bagratydów, w celi świętej Apostołki Gruzji, świętej Nino — wszędzie napotykałem na niezłomną potęgę gruzińskiego ducha, która stanowi najpewniejszą gwarancję przyszłego zwycięstwa.

W bohaterskiej walce o niepodległość towarzyszą rycerskiemu Narodowi Gruzińskiemu braterskie uczucia jego polskich przyjaciół, których łączą z Gruzją wspomnienia półtorawiekowej wspólnej walki ze wspólnym najeżdżcą.

Jan Otmar-Berson.

Warszawa, 19. V. 1938,

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ვ ი ს \*

La Géorgie, territoire et population, histoire, littérature et beaux-arts.


აი წიგნი საქართველოს შესახებ, რომელიც ოღონდაც რომ დროზე გამოვიდა. სწორედ ოცი წელი შესრულდა, რაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 26 მაისს ერთხმად მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და დაარსა რესპუბლიკა. ამის აღსანიშნავად სამშობლოდან გამოძევებულნი ქართველები თავიანთ მეგობრებთან ერთად ენევესში, პარიზში და სხვაგან მოიგონებენ თავის სრულ სუვერენობის აღდგენას, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდა მთელი ერი.

დასახელებული წიგნი, მოკლე თავებად დაყოფილი, მკაფიოდ, ობიექტიურად და არა პრეპაჩანდის მიზნით, გვაცნობს ქართველების ეროვნულ არსებას, დაუსრუტელ ენერჯიას გაჯირვებასა და დაღმინებაში, იმ მოტივებს, თუ რატომაა პატრიუსტეში ქართველი ერი და რატომ უნდა გვეკონდეს მისი მომავლის იმედი. აუცილებლად საჭირო იყო ასეთი საინფორმაციო წიგნი. ევროპის საზოგადოების ფართო მასა ნაკლებად იცნობს საქართველოს, როგორც ეროვნულ ერთეულს. ეს საქართველო კი ჩვენი კონტინენტის გასაღებია. იგი მონაწილეა იმ ადამიანთა დაუსრულებელი დენისა, რომელიც ევრაზიის სამყაროდან დასავლეთს ეხეთქებოდა, და არც თუ უნაყოფოდ, ვინაიდან ცივილიზაციის ნერგი აღმოცენდებოდა იქ, სადაც ამ დენის ტალღა მიწვდებოდა.

როდესაც ოდნავად მაინც ჩაუკვირდებით საქართველოს ათასწლოვან წარსულს. ადვილად დაინახავთ, რომ თქვენ ფურცლავთ ერის მატრიანეს, ერის ცოტად დავიწყებულის და განზე მიტოვებულის, რომელიც იმავე წესების მიხედვით ვითარდებოდა, რომლებიც ჩვენ გვიძღვებოდა, რომელსაც ამოძრავებდა იგივე სისხლი. აქ იგივე ძველი ევროპაა, ერთსა და იმავე დროს მდებიური და კეთილშობილური, ევროპა პელასგების, ეტრუსების, ბასების, ევროპა, რომლის ცხოვრება იყო სულ მარტივი და ღვთაებრივი, მიწიერი და ციური. ელადა, ნაკლებად ხელშემწყობ პირობებში—აი პირვანდელი საქართველო. იგი სულიერად მეტად გვიანლოვდება ჩვენ. წინად ამას ეჭვობდენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც უფრო და უფრო გავიცანით ქართველი ერი, მას ხელი უნდა გავუწოდოთ. ეს დრო, რომელშიაც დღეს ვცხოვრობთ, ნებას არ გვაძლევს, ცივილიზაციის საგანძურის რაიმე ნაწილი დაეკარგოთ; იგი ჩვენ გამოგვადგება.

საქართველო კავკასიონის აივანია ორ ზღვას შუა. ერთსა და იმავე დროს მთიანი სიმაგრე და კონტინენტთა შემაერთებელი ადგილი, საქართველო გზაჯვარედინი იყო ყველა ნომადისა და ყოველგვარ

\*) ჟურნალ დე-ქენევი 1938, 26-27 მაისის მეთაური. წერილის ავტორია საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე.



თავდასხმებისათვის. ხოლო აქ იყო მათი საფლავიც. ესეთი მწარე ბედი ხვდა მიჯაჭვული პრომეთეს სამშობლოს, რომელიც ჰქმნიდა მის უბედურებას და მის დიდებასაც.

როგორ არაჩვეულებრივად მოსდევნენ ერთმანეთს ამბები ისტორიის წინა დროიდან დაწყებული, მე-12 შ-ში ქრ. წინ მკვიდრნი განთქმულნი არიან, როგორც ლითონის საუკეთესო დამამუშავებელნი. დაიჯერებთ, რომ დაბადების ტუბალ-კაინი ქართველი იყო? მისი სახელი ნიშნავს «მჭედელთა მამას». მერვე საუკუნიდან იწყება კიმერიელთა შემოსევანი. მეოთხე საუკუნეში ბერძენთა წყაროები იხსენიებენ კოლხეთს შავი ზღვის ნაპირად. ოქროს ვერძი! იასონი! მე მაქვს ფოტოგრაფიული გრაფურა მარმალილოს ზღვის ჩრდილოეთით ამოღებულ ქვისა, რომელიც წარმოადგენს ბერძენ მეომრებით სავსე ხომალდს: ისინი მიემგზავრებიან საქართველოსკენ. იქ იყო სავაჭროები და კალონიები. საქართველო გზა უკვე ინდოეთთან სავაჭროდ: ჩვენ ბევრი არა ფერი გამოგვიგონია. როგორც ელადაში, საქართველოშიც ცხოვრება მოწყობილი იყო მცირე თემებად, რომელთაც მეფეები (მამასახლისები) მეთაურობდნენ.

შემდეგ მითრიდატის ომმა ამ ქვეყნის კარი გაუღო რომაელებს და პომპეოსს ხვდა ბედი მისი დაკავშირებისა რომის იმპერიასთან სწორედ იმ დროს, როცა იულიუს კეისარი გალეთს იპყრობდა.

მეორე საუკუნიდან მეოთხედემ მეორე დაპყრობა მოხდა ქრისტიანობის მიერ, რომელიც მტკიცედ გავრცელდა, სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა და ხელი შეუწყო ეროვნულ გრძნობის გაღვივებას. ახალმა სარწმუნოებამ ბიზანტია და საქართველო დაახლოვა; საშუალო საუკუნოების ქართულ ხელოვნების ერთი თვალის გადავლება ცხადყოფს ამის გავლენას, ხოლო საქართველო არასოდეს ყოფილა ბიზანტიის ხელქვეითი.

მაგრამ აღმოსავლეთი ამოძრავდა. მესამე საუკუნეში სპარსელებმა განფანტეს ლახები, რომლებსაც დღეს ვხედავთ შავი ზღვის ორ ნაპირზე, ბოსფორის გამოსავალთან, ისინი საუკეთესო წარმომადგენელნი არიან კავკასიურ ტიპის და დიდად განსხვავდებიან თავის ზნე-ჩვეულებით ახლანდელ მეზობლებისაგან. იწყება ისლამის განვითარება: არაბები გაბატონდებიან აღმოსავლეთ საქართველოში. შემდეგ ფეოდალური წყობილება შედარებით მშვიდობიანობას დაამყარებს; დიდი მონასტრების, განათლებულ მეფეების—ბაგრატიონების, დავით აღმაშენებელის შემწეობით, რომელიც ქართველთა შარღვამანია, შეიქმნა ამიერ კავკასიური სახელმწიფო, ისეთი, როგორიც სასურველია დღეს, ამას მოჰყვა მეფობა თამარის (1184-1212), რომელიც განთქმული იყო თავის გონიერებით და მფარველი ეპოსური პოეტის შოთა რუსთაველის, რომლის შვიდას ორმოცდაათის წლის თავის დღესასწაული ეხლახან იქმნა გადახდილი.

ხოლო ხანმოკლე იყო ამ ერის დასვენება და აყვავება ვერ გაგრძელდა. მონგოლთა ურდოები რამდენჯერმე შეესივნენ საქართველოს საუცხოვოდ და-

მუშავებულს ველებს და უდაბნოდ აქციეს. მერმე ირანი და ოტომანთა სულთნები ერთმეორეს ეჯიბრებიან საქართველოს დასაპყრობად, დაუსრულებელი ომებია, ძვირად უჯდებათ გამარჯვება მტრებს, რამდენჯერმე ააოხრებენ ქვეყანას და მკვიდრთაც მასიურად გადაასახლებენ. ადვილად გასაგებია, რომ ასეთ პირობებში. ისლამსა და რუსეთს შორის მომწყვდეულმა მეფე ერეკლემ ხელი მოაწერა ეკატერინესთან დადებულ მეგობრობის და პროტექტორატის პირობას. ამის შედეგი იყო, სხვათა შორის, აღდგენა ურთიერთობის ქრისტიანულ სამყაროსთან, რომელიც შეწყდა კოსტანტინეპოლის დამხობის დროიდან. მაგრამ სამწუხაროდ სახელმწიფოთა დამეგობრება ხშირად შთანთქმის განხრახვას აღვიძებს!

მთელი მეცხრამეტე საუკუნე წარმოადგენს ბრძოლას გარუსებასა და ეროვნულ არსებობის შენარჩუნებას შორის. ხდება ქვეყნის ეკონომიური, გონებრივი და შემოქმედებითი დაწინაურება. ყველამ უწყის, რომ ქართველები თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ცარების იმპერიის ცხოვრებაში. მესამოცე წლებიდან ეროვნული შეგნება ვითარდება და ღრმავდება. ქართველი ერისთვის სრულიად მოულოდნელი არ იყო 1917 წ. გადაშლილი მომავლის დიდი პერსპექტივები: თვით მას სწყუროდა ეს, მისწრაფოდა მისკენ და ამზადებდა. სინამდვილემ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ყველას გვახსოვს, თუ როგორი იყო დამოუკიდებლობის აღდგენა და რა წარმატება იქმნა შესრულებული ორ წელიწად ნახევრის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის მიერ ნ. ყორაღანის თავმჯდომარეობით; ეს უკვე დღევანდელი ამბებია, რის შესახებ აქვე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი. ყველამ ვიცით აგრეთვე, რომ სრულიად მოულოდნელად და მშვიდობიანობის დროს დაეხსნა თავს საქართველოს საბჭოთა რუსეთი და ერთიან განანდგურა მას შემდეგ, რაც საქვეყნოდ აღიარა მისი დამოუკიდებლობა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულობაც დასდვა მასთან.

შრომა, რომელსაც ჩვენ ვეხებით, აგვიწერს ამ ამბებს და სხვებს მიუდგომლად და სრული კეთილშობილობით. მკითხველი წიგნისა ღრმად რწმუნდება. თუ რაოდენი უფლება აქვს ამ ერს არსებობისა და თავისუფლების, ამ ერს, რომელიც გმირულად გაუმკლავდა იმდენს განუწყვეტელ უბედურებას და განსაცდელს; და ვინ იცის? ეგებ სწორედ თავის მწარე ბედის მეოხებით გახდა ქართველი ერი გამძლე და გამობრძმედილი.

არის ერთი ქვეყანა ირლანდია, ქარებისაგან დაუნდობელი, ჰირისაგან წელში მოხრილი, რომლის მისწრაფება და მოქმედება არასდროს შეწყვეტილა და რომელიც აი ჩვენს თვალს წინ აღსდგა. არის ასევე მეორე ქვეყანა, ევროპის განაპირას, საქართველო, რომლის თავზე იმდენმა ქარიშხალმა გადაიარა; და ეს საქართველო გლეხთა, მეომართა, ხელოვანთა, მშრომელთა არა ნაკლებ მამაცი და კეთილშობილია, მზადაა სიმღერისა და ცეკვისათვის, როგორც კი ოდნავ გამოანათებს. ეს ქვეყანაც ღირსია იყოს თავის ბედის პატრონი. აი რაში გვაჯერებს ეს

პატარა წიგნი. იგი ერთვის იმ მეცნიერულს გამოკვლევებს, რომლებიც გამოვიდა უკანასკნელ წლებში ქართველთა სამართლის, ხელოვნების, პოეზიის და გონებრივი ცხოვრების შესახებ, და შეავსებს მათ ცნობებს. წიგნი ცხადპყვას, რომ ერის ცხოველმყოფელობის ღრმა საფუძველია მისი სულის ღირსება. ქართველი ერის სული კი ოღონდაც რომ უმაღლესი ცივილიზაციების დონემდგა აღწეული.

Albert Malche.

## MADAME AILLAUD

M<sup>me</sup> Aillaud n'est plus... C'est une rare intelligence, un grand cœur, une âme généreuse qui s'en vont, et cela à l'époque où les assises de la société actuelle sont si ébranlées et l'être humain perd chaque jour le contenu de l'être social. A cette époque, la disparition d'une personne de la valeur de M<sup>me</sup> Aillaud est doublement triste et douloureuse. C'est dans le malheur qu'on apprécie ces grandes qualités humaines, et quel malheur peut se comparer au malheur de ceux dont la patrie est saccagée, le foyer détruit, et qui, loin des endroits adorés, mènent une existence misérable dans un exil cruel. C'est bien, hélas, notre cas. Notre triste sort ne pouvait pas échapper à une intelligence comme la sienne et sa bonté avait en nous un large champ pour semer sans cesse ses bienfaits. En effet, quel réfugié géorgien ayant eu besoin de travailler pour subvenir à son existence, n'a pas reçu satisfaction chez elle si cela était possible, ou l'encouragement et de bons conseils si cela n'eût pu se faire? Nombreux sont les réfugiés qui ont été vraiment sauvés par elle... Et le plus extraordinaire et ce qui est infiniment appréciable, c'est que, tout en restant fidèle aux règlements et aux lois, elle trouvait le moyen de les aider. C'est ainsi qu'elle nous a fait supporter notre exil, et c'est elle qui nous a fait aimer encore davantage la France. On peut dire sans réserve que M<sup>me</sup> Aillaud incarnait, avec les grandes traditions françaises, l'âme généreuse et l'esprit cultivé de la France éternelle.

Combien de fois l'avons-nous priée d'assister à un banquet organisé en son honneur, afin de permettre aux réfugiés de lui exprimer leur reconnaissance? Malheureusement, nous n'avons jamais réussi à obtenir son acceptation. — « Si vraiment j'arrive, de temps à autre, à vous aider et à combattre vos difficultés, c'est la plus grande satisfaction que je puisse éprouver. »

Voilà quelle était sa réponse à notre insistance.

Les réfugiés géorgiens qui déplorent vivement la disparition de M<sup>me</sup> Aillaud, leur protectrice et bienfaitrice, voulait, par souscription, lui ériger un petit monument, en signe de leur profonde reconnaissance: malheureusement, cela n'a pu être réalisé à cause de ses dernières volontés, par lesquelles elle manifestait le désir de n'avoir, pour sa dernière demeure, qu'une simple pierre tombale. Cela ne nous a pas surpris de la part d'un esprit aussi élevé que le sien,

Chère Madame Aillaud, le monument que nos réfugiés voulaient vous ériger, et auquel votre dernière volonté s'oppose, pouvait être détruit par le temps, mais le monument que vous avez édifié dans le cœur de nos malheureux compatriotes y restera à jamais.

Adieu, chère Madame, avec notre profonde reconnaissance, nos regrets éternels vous accompagnent.

P. S. — Une délégation de la colonie géorgienne s'est rendue au cimetière de Chaville, pour déposer une couronne sur la tombe de notre regrettée M<sup>me</sup> Aillaud.

## შერილი ამერიკიდან

თურმე საბჭოთა რუსეთში ასეთი თქმულება დადის: რუსის გლეხი მივიდა მღვდელთან და უთხრა: «მამაო, ისედაც შევიწროვებული ვიყავი, ოთხი ვცხოვრობდით პატარა ერთ ოთახიან ქოხში. ახლა ორი ოჯახი ჩამიყენეს, სულ თერთმეტი სული ვცხოვრობთ ერთად, საბაკები იატაკზე აწყვია, ბავშვები ჩხუბობენ, ცხოვრება შეუძლებელია, მირჩიე, რა ვქნა?» ო. მღვდელმა უპასუხა: «ერთი თხაც დააყენე იმ ქოხში შენთან; თუ არა გყავს, ვინმე მეზობელს სთხოვე დროებით». — ო. გლეხს გაუკვირდა უცნაური რჩევა, მაგრამ მღვდლის სიტყვის იმედი ჰქონდა და ექვი დაუშალა. თხა იზოვნა და ქოხში დაიყენა.

ორი დღის შემდეგ ისევ მღვდელთან მივიდა: «მამაო, ჩვენი ცხოვრება უარესია, თხას ცუდი სუნი უდის, ბავშვებს ეჩხუბება, ჩემი ცოლი და «დგმურები» მოსვენებას არ მაძლევენ». — ო. მღვდელმა მიუგო: «მეორე თხაც იზოვნე და ისიც იქ ჩააყენე». ო. გლეხის გაკვირებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც დაემორჩილა. მეორე დღესვე კვლავ მღვდელთან მივიდა და შესჩივლა: «მამაო, ცხოვრება აუტანელია, თხები მუდამ ჩხუბობენ, ხან ბავშვებს ეტაკებია, ხან ერთმანეთს, «დგმურები» ცემას მიპირებენ, რა ვქნა არ ვიცი». — ო. მღვდელმა უთხრა: «ახლა დაუბრუნე თხები პატრონებს». — ო.

მეორე დღესვე მიიბრინა გლეხმა მღვდელთან ქუდმოხდილმა და დიდი მადლობა მოახსენა ბრძნული რჩევისთვის: «მამაო, ჩვენ ოჯახში ყველა ბედნიერად ვგრძობთ თავს, ყველა მოვრიგდით და საყლოვი ადგილიც გვაქვს». — ო...



ამბობენ, საბჭოთა მცხოვრებნი სტალინის სიბრძნეს ამ მღვდლისას ადარებენო. როცა ცხოვრება შეუძლებელი გახდება სტალინის სამეფოში, თავის დამქმუნების მეოხებით—სტალინი დეკრეტს გამოაუშვებს «თავხედების» ასალაგმავად, რამდენიმე «წარჩინებულს» თავის წრიდან საიქაოში გააგზავნის...

მცხოვრებთა სიცოცხლეს ფსიქოლოგიურად სასუნთქველო ჰაერი მოემატება და სტალინს უქვეშევრდომელეს მადლობას უგზავნიანო.

«ნიუიორკის ტაიმს» შეუსწავლია სტალინის მეთოდები და საყურადღებო წერილი უძღვნა ამ საკითხს სათაურით: «ჰეი, საწყალო მუჟიკო!».

მოწინავე ამბობს: «იოზეფ სტალინს აქვს ჩვეულება, რომელიც ძალიან უხერხული უნდა იყოს, რბილად რო ვიქვით, მისი ერთგულთა და მორჩილთათვის. დროგამომგებით ის დაუფლის მათ და სჯის საჯაროდ და უხეშად იმიტომ, რომ მისი განკარგულება შესაძლებელია».

მაგალითად კრემლის უკანასკნელი მკაცრი განკარგულება შეეხა იმ ოფიციალურ პირებს, ვინც გამორიცხეს გლეხები კოლექტივურ ფერმებიდან. სტალინი სწმინდავს თვით განწმენდელთ. სტალინი სჯობს თავის ხელქვეითებს, იმიტომ რომ მათ მისი ბრძანება ძალიან კარგად შესასრულეს ან იმიტომ, რომ საჭიროება მოითხოვს ვისიმე შეწირვას. კიდევ ერთჯერ გარეშე ქვეყანა გებულობს, რა ხდება რუსეთში, როცა მთავრობის დეკრეტი აჩერებს ან სცვლის მთავრობის ხაზს. ახლანდელი დეკრეტი, რომელიც უკრძალავს გლეხების გამორიცხვას კოლექტივური ფერმებიდან, იმას ჰგავს, რომ ანათო უკვე გასული ბნელი გზა—ო. ეს დეკრეტი ნიშნავს იმის აღსარებას, რომ მასიური გამორიცხვები ხდებოდა უპასუხისგებლო პარტიული ოფიციალების მიერ, უმრავლესობა ამ გამორიცხვების იყო დანაშაულობა, როცა მამები ძალით იყვნენ წაყვანილნი მთავრობის აგენტების მიერ ინდუსტრიაში დროებით მომუშავეებად. ეს დეკრეტი კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ ძალმომრეობით იყო დანგრეული ბევრი კოლექტივური ფერმა და მათი წევრები ანაბარად საშემშობლოდ გადაარეკილნიო...

ახლა სტალინი იძლევა განკარგულებას, რომ გლეხთა «განწმენდა» შეჩერდეს. ეს განკარგულება მაჩვენებელია, თუ რა უბედურებაშია საწყალი მუჟიკი. ჯერ იყო გლეხობის მასიური ლიკვიდაცია და კოლექტივებში შეერეკვა. ახლა გამოდის, რომ კოლექტივიზაციამ არ მისცა გლეხს საიმედო მომავალი, და ის ისევ «იწმინდება»—ო.

გასაკვირი არაა, როცა ახალი დეკრეტი ამბობს: «ეს ხელფრთხილად ჰბადებს უკმაყოფილებას და რისხვას, რადგან ბევრ კოლექტივურ ფერმერს სამუშაოს იმედი არ აქვსო».

გასაკვირი არაა, რომ მიუხედავად ყოველგვარ ზომისა, ინდივიდუალური მეურნეობა გლეხების კოლექტივურს სჯობნის. ყოველივე ეს ამხსნელია იმ გავრცელებულ საშიშო უკმაყოფილების, რომელიც გლეხებში არისო...

ტროიანოვსკი, როგორც ყველა საბჭოების წარმომადგენელი სახლვარ გარედ, რომელიც ჯერ არ გაქცეულან თავის თანამდებობიდან, ორჯოფულ მდგომარეობაშია.

ერთ დროს მან სულ მორცხვი სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის უმანკო ფრაზა იხმარა: «ჩვენ (რუსებს) გვრწამს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ნამდვილი დემოკრატიზმიო» და სხვა... ფიცხლავ «ნიუიორკის ჰერალდ ტრიბუნის» კორესპონდენტმა მოსკოვიდან დეპეშა აფრინა—რას მიქვია რუსეთში დემოკრატიზმიო, თუ ეს დემოკრატიული ქვეყანაა, მაშინ ნერონის მართველობაც დემოკრატიული ყოფილაო...

ეს გავვითილი «პოლპრედს» არ დავიწყებია და კარგა ხანს საჯაროდ არაფერი განუცხადებია.

მაგრამ ამ 25 მაისს რუს-ამერიკელ კომერციულ საზოგადოებაში იძულებული იყო სიტყვა წარმოეთქვა. სხვა ვინმე ალბად მოახერხებდა, არაფერი სახიფათო არ ეხსენებია, მაგრამ ნათქვამია: ვის რისი ეშინოდა, ის ელანდებოდაო. და მან სხვათა შორის ასე სთქვა: «ჩვენ (რუსები) ვართ დიდი მორწმუნე მშვიდობიანობის და დემოკრატიზმის, ხალხის სურვილის გამომხატველის, მისი ნების გამომტქმელის, თვით ხალხის მიერ თავისი პრობლემების გამაშუქებელის»... შეიძლება ამ დროს «პოლპრედმა» ვისმე გაცეხულ თვალებში ეჭვი შეამჩნია ან და მოსკოვის კორესპონდენტი გაახსენდა და დაუმატა: «მართალია, ჩვენი დემოკრატიზმი სხვანაირია, ვიდრე სხვა ქვეყნების დემოკრატიზმი, მაგრამ ფაშისტურ გვირჩევნია, რანაირი დემოკრატიზმიც არ გვქონდესო».

მერე ელჩი შეუდგა მეორე საეჭვო გარემოების დამტკიცებას: «ჩვენი ხალხი არის გამსწავლული ერთობით (!) და ერთსულოვანი მაღალ პატრიოტიზმით... ჩვენი ხალხი მზად არის მილიტარულად და ფსიქოლოგიურად მოიგერიოს ყოველი უცხოელის შემოსევა. მაგრამ სანამ მტერი ჩვენთან მოაღწევს, სანამ რუსეთს დაეცემა, მას დასჭირდება სხვებთან ბრძოლა. მტერი ჯერ უნდა შეებრძოდეს ისპანიას, ავსტრიას, ჩეხოსლოვაკიას, რუმინიას, პოლონეთს, საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთსაც»... აქ «პოლპრედმა» უთუოდ იფიქრა, ლაჩრობას დამწამებენო და დაუმატა: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის პირველ საშიშო მდგომარეობაში, ჩვენ არ შეგვიძლია ხელი დავიბანოთ ახლანდელ ევროპის სიტუაციაში. ჩვენ გვაქვს ჩვენი პრინციპი (!) და ჩვენი ხელშეკრულება. ჩვენ მზადა ვართ, დავიცვათ ჩეხოსლოვაკია საფრანგეთთან ერთად. ჩვენ მზადა ვართ დავიცვათ თვით საფრანგეთიც.

ალბად ჩვენ მოგვიწვევენ, დავიცვათ სხვა დიდი ქვეყნებიც. მე მგონია თვით დიდი ევროპულ დემოკრატიულ ქვეყნებს დასჭირდებათ რუსეთის დემოკრატიის დახმარება. ყოველ შემთხვევაში მეტი, ვიდრე რუსეთს სჭირია მათი დახმარებაო...

საეჭვოა, რომ ეს სიმართლეს შეეფერებოდეს, რადგან ვიცით ამერიკელ-მოსკოველ კორესპონდენტებისაგან, რომ კრემლის ჰაერი გაუღენთილია შიშით, შიშით ომისაო.

ნაურო.



ქვირუასი წიგნი

ექ. თაყაიშვილი.  
არქეოლოგიური ექსპედიცია  
ლენინ-სვანეთში 1910 წ.

პრ.ექ.თაყაიშვილის მალახარისხოვანი და მდიდარი სამეცნიერო მღვწეობა მთელმა შეგნებულმა საქართველომ კარგად უწყის. მისი აღწერანი და გამოკვლევანი ჩვენი ძველი ნელაწერებისა და ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაშთებისა უძვირფასესი მასალაა ჩვენი წარსულის შესასწავლად. საქართველოს ისტორიის ვერც ერთი დარგის მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუქცევს. მისი ნაშრომები ავსებენ მატინანეს და ახალს და ახალს შუქს პეფენ ზოგიერთ ბუნდოვანად გადმოცემულს ამბებს. ამ შრომას შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე და არ დაუტოვებია ჩვენი ქვეყნის თუნდაც შორეული და მიუვალი ადგილი უნახავი და გამოუკვლეველი. თავის მოგზაურობის დროს მან პირველად აღმოაჩინა ბევრი განძი და გადაარჩინა დალუპვას. მისი გამოკვლევანი რამდენსამე ათეულ წიგნს შეადგენენ. ჯერ კიდევ ყველაფერი არაა დაბეჭდილი. კერძოდ მისი არქეოლოგიურ აღწერათა ორი წიგნი გამოცემულია ქართულად და ზეთი რუსულად. ჩვენს წინ მდებარე «არქეოლოგიური ექსპედიცია» არის ახალი ტომი; დარჩენილია სამუსულმანო საქართველოს, იმერეთ-რაჭის, კახეთის და გურუის (ნაწილის) ნაშთების აღწერილობა, რომელიც მოინდომებს რამდენსამე ტომს.

ეკლახან პარიზში გამოსული წიგნი დასახელებული სათაურით შეიცავს აუარებელს მასალას ქართული მალალი კულტურის, ხელოვნების და აქტივობის შესახებ. პირდაპირ განცვიფრებაში მოდიხარტ, წიგნს რომ ჰკითხულობთ. ერთბაშად არც გჯერათ, რომ სადღაც მიყრუებულს და შედარებით ჩამორჩენილ კუთხეში, სადღაც სვანეთში ამდენი სავანძური ყოფილა დაცული. უნებურად ეკითხებით თქვენს თავს: სად იყო ეს ყველაფერი ამდენხანს და სად ვიყავით ჩვენ, რომ ამას არ ვხედავდით და არ ვიცნობდით?

სვანეთის სიძველენი დიდი ხანია იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას: არსებობს გამოკვლევანი ბროსენი, ბერნოვოლის, ბარტლომეის, ბაქრაძის, სტოიანოვის, უვაროვის, ხახანაშვილის. მაგრამ მათ მხოლოდ ნაწილობრივად ჰქონდათ შესწავლილი სვანეთი. ბ. ე. თაყაიშვილის შრომა კი შეიცავს მთელი სვანეთის განძების სრულს აღწერას. მის წიგნში აღწერილია ასამდე ეკლესია (ამათში ცამეტი ლეჩხუმისა) და იქ დაცული ათასუთასამდე ხატი, ჯვარი, ფრესკი, ხელნაწერი, სხვადასხვა საეკლესიო და საერო დანიშნულების ნივთი. ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი მთელს მუხუშმს წარმოადგენს, ქართული შემოქმედების განვითარებისას ძველი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე. ზოგი სიძველე საქართველოს სხვა კუთხიდანაა გადმოტანილი, ალბად დაცვის მიზნით, მაგრამ ასეთი ცოტაა; დიდი უმრავლესობა ადგილობრივი კუთ-

ვნილებაა, უმთავრესად თვით სვანების ნახელავი. სვანეთი აქტივური მონაწილე იყო საქართველოს საერთო სააღმშენებლო და საკულტურო მუშაობაში, მხურვალე და ნაყოფიერი იყო მისი სარწმუნოებრივი მისწრაფება, რომელიც ამოქმედებდა მხატვრულ გემოვნებას.

მდიდარი სიძველენი, რომლებიც სვანეთში შენახულა, პირვანდელ სახით იზვიათადაა დაცული. მეტი წილი დაზიანებულია, გაძარცულია. აღსანიშნავია, რომ პრ. ე. თაყაიშვილს ზოგან უკვე ვეღარ უნახავს ნივთები, რომლებიც არსებობდა წინანდელ მნახველების დროს, ისინი დაკარგული აღმოჩნდა. ლეჩხუმის და განსაკუთრების სვანეთის ეკლესიები (ზოგ პატარა სოფელიში რამდენიმე ეკლესიაა აგებული) ყველა ერთი ტიპისაა—სიონური, უფუშბათო, მორჩილი ტანის. გარეგნულად დიდა არაფერს წარმოადგენენ. მაგრამ საყურადღებოა მოკაზმულობა—სარკმლების, კარების, კანკელის, ცხოველთა და ადამიანთა გამოქანდაკებანი, ნამეტურ ფრესკები, რომლებიც ამკობენ კედლებს შიგნით და იქა-იქ გარდაც. ფრესკები ასურათებენ არა მარტო საღვთო წერილს, არამედ გამოხატავენ ისტორიულ პირებს და ამბებს (დიმიტრი მეფის კურთხევა მე 12 საუკუნისაა, ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას და ტიპებს ეროვნულ ტანისამოსში, ხალხური ეპოსის (ამირანის და სხ.) ტენებს. სწორად ფრესკებ მხატვრის ვინაობაცაა აღნიშნული, მაგალ. მოიხატა მეფის (დავით აღმაშენებლის) მხატვრის თეოდორეს მიეროთითქმის ყველა ეკლესიას აქვს წარწერები ამშენებლების და შემკეთებლების შესახებ, რომლებიც ანათებენ და აფართოვებენ მატინანეს ცნობებს.

ეკლესიებში შენახულია მრავალფეროვანი განძეულობა, უმთავრესად ხატები და ჯვრები. ხატი ზოგი ფედარებით დახატულია, ხოლო მეტი წილი ნაქვიდა ვერცხლისაგან და იძლევიან ქართული მკედელობის განვითარების მთელ სურათს კლასიკურ ხანიდან დაცემამდე. ზოგი ხატი უნიკუმია და იზვიათის სიმშვენიერის. მოიპოვება ოქროს ხატებიც. ჯვრები სხვადასხვა გვარისა, საინტერესოა ჯვარი, რომელსაც ჯვარის მტვირთველი ატარებდა ომის წინ. ამ ხატ-ჯვრების წარწერები მრავალ ისტორიულ ცნობებს შეიცავენ. ვგებულობთ იმასაც, თუ სახელდობრ ვინ გამოჰყდა ეს თუ ის ხატი ან ჯვარი, რაც საშუალებას გვაძლევს გავცნოთ ქართველ მხატვრებს-მკედელებს. მეტად საინტერესოა ერთ ხატზე მიწერილი ლექსი ბაგრატ მეოთხის (+1072 წ.) ცოლის ბორენას შესახებ, და მეორეზე კიდევ: «ადიდენ მეფენი ბაგრატონიანი, დადიანი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილნი სანნი» (13-14 საუკ.)

ხელნაწერი ასე მრავლად არ მოიპოვება სვანეთში, მაგრამ ზოგიერთი ძვირფასია—პალიმესტი ს. ხემი, ენაშის სახარება, რომლის მორთულობა და არაშესყებს აღმოსავლეთის გავლენა ეტყობა, ლაპილის სახარება იერუსალემში გადაწერილი და ადიშის სახარება 897 წ. გადაწერილი, რომელიც ფოტოტიპურად არის გამოცემული მოსკოვში ჩვენი ავტორის წინასიტყვაობით, ხოლო ნაწილი (მათე და



მარკოზი) ქართული ტექსტით და ლათინური თარგმანით ბლექის მიერ პარიზში დაბეჭდა ებ. გრაფენმა. სვანეთის ხელნაწერებს ახლავთ მრავალი მინაწერი, რომელნიც იძლევიან უხვ საბუთებს სვანების ურთიერთობის და სოციალურ ვითარებისათვის. აქვე აღსანიშნავია «სვანეთის სულთა მატიაწე» მე 16 საუკ., რომელიც შეიცავს ცნობებს სვანეთის სოფლებისა და გვარების შესახებ.

გარდა საეკლესიო ნივთებისა სვანეთში მრავლად მოიპოვება, აგრე ვსთქვათ, საერო დანიშნულების ასეთებია: ლახტები, ფარები, ისრები, აზარფეშები, სურები, ჯამები, თასები, დოჭები, სარკეები, ყუთები, თეფშები, კასრები, საყვირები, ცულები, დროშები, სავარძლები, ბეჭდები, სამაჯურები სხვა და სხვა წარწერებით, არა თუ მარტო ქართული ხელოვნების, არამედ სპარსულის, არაბულის, ბიზანტიურის და დასავ. ევროპიულის (ლათინურის წარწერებით). სვანეთში ინახებოდა და დღეს ტფილისის მუზეუმშია სასანიდების დროის სპილენძის სამფეხი, იშვიათი ხელოვნების, უძვირფასესი რამ. ჩუკულის ეკლესიაში დაცული ყოფილა თამარ მეფის (?) ქოლგის პირი აბრეშუმისა, გამშვენებული სახეებით, რომელიც დღეს დაკარგულია...

მარტო ზოგადი თვალის გადავლება საკმაოდ გვიჩვენებს, თუ რა დიდი შრომა შეუსრულებია ჩვენს მეცნიერს მკვლევარს. იმას არამც თუ სათითაოდ უნდა გაესინჯა და შეესწავლა ყოველი ნივთი, არა მდ არეული და დაშლილი ნაწილები უნდა დაეღაგებია. ხანდახან ის იძულებული იყო, რომ სხვა და სხვა ხერხებისთვის მიემართა, რათა სვანებს განძეულობის ნახვის ნება მიეცათ. და ყველაფრის ნახულის სურათები გადააღებინა ფოტოგრაფს, რომ თუ დედანი დაიკარგა, მისი სახე მაინც დარჩეს. ჩვენი ავტორი სვანეთის აწინდელს ცხოვრებასაც არ სწოვებს უყურადღებოდ, აგვიწერს სოფლებს, ტიპებს, ციხეებს, ხალხის ადათებს. მთელი ნაშრომი გამსჭვალულია მეცნიერული მიდგომით, ფხიხელი დაკვირვებით, ობიექტივური სიფრთხილით და ქართული კულტურის ღრმა სიყვარულით.

«არქეოლოგიური ექსპედიცია» სპეციალური წიგნია. მხოლოდ ზოგიერთებისთვის მისაწოდში? არა. ნურავის შეაშინებს მისი გარეგნული სიმშრალე და სქემატიურობა. თავის წარსულის მოყვარულს ყოველ ქართველს შეუძლია სიამოვნებით წაიკითხოს წიგნი. ეს მისთვის ფრიალ ნაყოფიერი იქნება: ხშირად ერთს რომელსამე ძველს წარწერას ან ნაშთს უფრო მეტის მოცემა შეუძლია, ვიდრე ვრცელს ტრაქტატს.

ქართველმა ემიგრაციამ უთუოდ ღირსეული საქმე გააკეთა, რომ ამ წიგნის გამოცემის საშუალება მისცა ავტორს. ვიცი ჩვენი სიღარიბე და მეძნელება ამის თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი: ეგებ დავჭიმოთ ჩვენი ძარღვები კიდევ და დავეხმარათ მეორე წიგნის, სამუსულმანო საქართველოს სიძველეთა აღწერის დასაბეჭდად; ამ წიგნს დღეს ხომ პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნებოდა.

ს. გონდხალავა.

26 მაისის ღმერთა

1. პარიზში.

არაჩვეულებრივი ზეიმით იქნა წელს გადახდილი საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის თავი.

26 მაისს, საღამოს 9-სათზე «საპაერო კლუბის» დარბაზი უკვე გაჭედლილია ხალხით. აქ თავი მოუყრია, თითქმის, მთელ ქართველობას; აქ არიან უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები, მთიელები და ფრანგი მეგობრები. შემოდის საქ-ს პრეზიდენტი ბ. ნ. ჟორდანიას და მთელი დარბაზი მას ტაშით და ფეხზე აღგომით ხვდება. ზეიმი იხსნება «დიდების» გალობით, რასაც შესანიშნავად ასრულებს ქართველ-უკრაინელთა გუნდი.

ამის შემდეგ ფრიალ შინაარსიან და მომენტის შესაფერის სიტყვას, ფრანგულ და ქართულ ენაზე ამბობს საქ-ს ყოფ. ელჩი ბ. ა. ჩხენკელი, რომელიც ყოვლის უწინარეს მიესალმა ფრანგ სტუმრებს და გულითადი მადლობა გადაუხადა კეთილშობილ საფრანგეთს ადამიანურ ფართო სტუმართმოყვარეობისათვის. გაიხსენა რუს ბოლშევიკების ვერაგული თავდასხმა, ქართველ ერის თავდადებული ბრძოლა მოძალადეთა წინააღმდეგ, მისი დამორჩილება რიცხვმრავალ მტრისაგან და მონობა, რომლის მსგავსი არ ახსოვს მის ხანგრძლივ ისტორიას. მაგრამ საქართველოს იარაღი არ დაუყრია, ის განუწყვეტილად გმირულად იბრძვის თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად, და ამ ბრძოლაში მარტო არაა: მის გვერდში დგანან კავკასიის სხვა ერები, უკრაინელები, თურქისტანელები, კახაკები და სხ... «ჩვენი ერთი ღირსეულად გაუმკლავდა ჩვიდმეტი წლის ტყვეობის განმავლობაში ყველა უბედურებას და გასაჭირს და დღეს იგი კიდევ უფრო მტკიცეა, მაშინ როდესაც კრემლი ყოველმხრივ დაუძღვრებულა. მოწინააღმდეგეობით მუხლს ვიდრეკთ ჩვენი ურიცხვ გმირის სიღნის წინაშე, რომელთაც იმდენი მსხვერპლი შესწირეს სამშობლოს, და უანდერძეს მომავალ თავობათ—მედგრად განაგრძონ ბრძოლა და მუდამ იყონ ღირსნი თავის დედების და მამების, რომელნიც იტყოდნენ პოეტის პირით: «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი» ჩვენი გონება მიპყრობილია ჩვენი მამაც ერისკენ: გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!»

ამის შემდეგ სიტყვას ამბობს უკრაინის წარმომადგენელი ბ. კოსენკო, რომელიც აღნიშნავს, რომ «თუ საქართველო 20 წლის წინად მარტო იყო უზარმაზარ რუსეთის წინააღმდეგ, დღეს მის გვერდში დგანან რუსის ყველა ჩაგრული ერები, რომელთა გადაწყვეტილება იბრძოლონ ბოლომდე—სრულ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე».

სომხეთის სახელით ჩვეულებრივად ლამაზ და მოხდენილ სიტყვას ამბობს ბ. ალ. ხატისოვი: «ჩვენი ისტორიული უკულმართობა ის იყო—ამბობს ორატორი—რომ გადაწყვეტ მომენტში ჩვენ ერთად არ აღმოვჩნდით. ყველა გულწრფელი პატრიოტის მოვალეობაა—ეს ერთობა შევექმნათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თავისუფლება არ გვიწერია. გწამდეთ, რომ სომხის ერთი თქვენთან იქნება მომავალ ისტორიულ ბრძოლებში».

ფრიად მგრძობიარე სიტყვა წარმოსთქვა კავკასიის კონფედერაციის სახელით აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ბ. მეღარაბოვმა. «კავკასიის თავისუფლება—სთქვა მან—ფანტაზიაა, თუ მისი ყველა შემადგენელი ნაწილები თავისუფალი არ იქნენ. ეს გვიკარნახებს მტკიცე ერთობას, ურთერთთან ძმურ და გულწრფელ დაკავშირებას, რაც თავდები იქნება ჩვენი თავისუფლების. ამ მიზანს ემსახურება კავკასიის კონფედერაცია».

მისალმებების შემდეგ დაიწყო საკონცერტო ნაწილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრებდა ქართველ-უკრაინელთა გუნდი ბ. პ. მოსულიშვილის და გ. პონომარენკოს ხელმძღვანელობით, რომელმაც საუცხოვო ანსაბლით შეასრულა მთელი რიგი ქართული სიმღერებისა. გუნდის თითოეულ გამოსვლას დარბაზი ტაშით და ოვაციებით ხვდებოდა.

ლამაზი და მოხდენილი იყო ქ-ნ კოსტის და ქ-ნ ქულაძის დუეტი, რამაც დამსწრე საზოგადოებაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე პიანინოზე მშვენივრად შეასრულა, რამდენიმე მუსიკალური ნაწყვეტი ქ-ნ სალბერგ ვაჩნაძისა და რამაც საზოგადოებაში მხურვალე ტაში გამოიწვია. საუცხოვე იყო ბ. მ. დარიალიც.

დასასრულ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბ. პ. მოსულიშვილის «ხოტბამ შოთა რუსთაველზე», რომელიც მოსულიშვილის ხელმძღვანელობით, იშვიათი მოხდენილობით შეასრულა გუნდმა. საზოგადოებამ ბ. მოსულიშვილს და გუნდს მხურვალე ოვაციები გაუშარტა. საღამო დასრულდა ტრადიციული ქართული ცეკვით.

მიღებულია მრავალი წერილი მოლოცვისა: ქან მარტენის, ალბ. მალშის, ბელგიის პალატის თავმჯდომარის პიუსმანის, ყ. მინისტრის მუტეს, პროფ. ლეფურის, გენ. ბრემონის, ვლ. ვაკარესკოს (რუმინიის დელეგ. ერთა ლიგაში) და სხვებისაგან.

II. ქენევაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 20 წლის თავი იღვსასწაულა საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა. დღესასწაული გაიმართა 30 მაისს «ათენს» სალონებში და დაესწრო რჩეული საზოგადოება. გარდა კომიტეტის წევრებისა იყვნენ ადგილობრივი წარჩინებული პირები, დეპუტატები, პროფესორები, ერთა ლიგის დამხმარე შვეიცარიულ ასოციაციის თავმჯდომარე, წარმომადგენელი შრომის საერთაშორისო ბიუროსი, წარმომადგენელი პოლონეთის, გერმანიის ვიცე-კონსული, უკრაინის დელეგატი და სხ.

დღესასწაულზე მოვლდნენ თავმჯდომარეს ნ. ჟორდანისა, ხოლო ავადმყოფობისა გამო მან ვერ შესძლო დასწრება და მხოლოდ მისი წერილი იქმნა წაკითხული თავმჯდომარის მიერ.

დღესასწაული გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ალბ. მალშმა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: საერთაშორისო კომიტეტი დაარსდა 1924 წ. საქართველოს უფლების და ინტერესების დასაცავად ქენევაში და სხვაგან და დაუღალავად მუშაობდა ერთა ლიგის წრეებში და მასთან დაკავშირებულ პოლი-

ტიკურ მოღვაწეთა წინაშე. იმდენად, რამდენად თვით ქართველ ერს არ უნდა სიკვდილი და ის ყოველთვის სიცოცხლის ნებისყოფას ამჟღავნებს, მას ვერაფერი და ვერაფერი მოსპობს. ჯერ არ ნახულა ქართველი, რომელსაც ეთქვას: «მე აღარა ვარ ქართველი». ქართველები ენერგიულად იცავენ თავის ეროვნებას, მოქმედებენ და ელოდებიან ქაშს, რომ კვლავ დაიბრუნონ თავისუფლება. ამიტომაცაა საერთაშორისო კომიტეტი ამ მამულე იშვილთა გვერდით და ემსახურება მათ საქმეს. საჭიროა გამოსწორება საქართველოს მიმართ ჩადენილ უსამართლობისა. როდის მოხდება ეს? უცხოეთში გარდმოხვეწილი ქართველები მხნედ არიან კეთილშობილებით აღჭურვილნი. მათი ათასწლოვანი ისტორია. მწერლობა, შემოქმედება—ყველაფერი ააშკარავებს მათ არსებობის უფლებას და ცხოველყოფილობას და უშრეტელს.

მერე ილაპარაკა «ყურბალ დე ქენევის» დირექტორმა და კომიტეტის საპატიო თავმჯდომარემ ქან მარტენმა, რომელიც იყო საქართველოში 1920 წ. და პირადად ნახა აღდგენილი ქვეყანა. მან გაიხსენა 1918 წ. არეულობანი რუსეთში, რუსის ჯარების დაშლა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაარსება და მერე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომლის სახელმწიფოებრივი წყობილება აგებული იყო შვეიცარიის წესების მიხედვით. შედარა საქართველოს და პოლონეთის ბედი ერთმანეთს. დღეს საქართველო 17 წელიწადია ტყვეობაში იმყოფება, მაგრამ ურყევია მისი ეროვნული პიროვნება, რომელსაც ორი ათას წელზე მეტი ხნოვანება აქვს. დასასრულ ორატორმა იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში საერთაშორისო კომიტეტი შესძლებს იღვსასწაულოს ქართველებთან ერთად საქართველოს აღდგენა.

მესამე მოლაპარაკედ გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი ხ. შავიშვილი, რომელმაც მიმოხილვა გაუკეთა გასულ წლებს და შეეხო საქართველოს აწინდელს ვითარებას: მდგომარეობა მეტად მძიმე და გაჭირვებულია პოლიტიკურად და ეკონომიურად და დღითი დღე უარესდება. ქართველი ერი შეუღრეკელად განაგრძობს ბრძოლას, რომელსაც უკვე რამდენიმე ათი ათასი შვილი შესწირა; ის არ ერიდება არაფერს თავისუფლების დასაბრუნებლად და ხელს უწოდებს ძმურად ბოლშევიკურ იმპერიალიზმით დაჩაგრულ ერებს. დასასრულ ხ. შავიშვილმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა გულითადი თანაგრძობისათვის, რომელიც ქართველებს ფრიად ამხნევებს, და სიტყვა ასე დაამთავრა: «უწყოდენ ჩვენმა მეგობრებმა, რომ ქართველი ერი დაამტკიცებს თავის მონობის ბორკილებს და აღსდგება თავისუფალი».

დღესასწაულის დასასრულ შესრულებულ იქმნა რამდენიმე საკონცერტო ნუმერი ქ-თ ბორნანის, დე-პიერის და ბატკოვსკის მიერ და სულ ბოლოს საზოგადოებამ მოისმინა ქართული ეროვნული ჰიმნი.

დღესასწაულს გამოეცხადებოდა ადგილობრივი გახეტები.

(პრალის და ბერკინის ანგარიზე შემდეგ №. ში)

**ზრანული კამიდან**

პარიზის ფრიად გავლენიანი და სერიოზული გაზეთი «Journal des Debats» (№ 135) საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს მიაქცევს კავკასიის პრობლემაზე. გაზეთი აღნიშნავს კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს და ამის მნიშვნელობას საერთაშორისო თვალსაზრისით; კავკასიელთა უკმაყოფილებას და ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მომავლის პერსპექტივებს და ამბობს:

«როდესაც 1917 წ. რუსეთში ცარიზმის დაცემისა და იქ კომუნისმის დამკვიდრების შემდეგ იმპერიის ფარგლებში მოქცეული ქვეყნები მას ჩამოცილდნენ, ოსმალეთმა ისარგებლა რუსის ჯარების დახვედით შექმნილ არეულობაზე და ამიერკავკასიას შეესია. მისი წინსვლა შეჩერებულ იქმნა მისივე მოკავშირის — გერმანიის მიერ, რომელმაც გადასხა თავის ჯარები საქართველოში 1918 წლის მაისში. დროებით ზავის ჩამოგდება შემდეგ გერმანელები შესცვალდნენ ინგლისელებმა და იქ დარჩნენ 1919 წლამდე. დაბოლოს, როდესაც 1921 წელს რუსეთის ჯარები შემოესივნენ ამიერკავკასიას და ბოლო მოუღეს მის დამოუკიდებლობას, საბჭოთა რუსეთმა არჩია თავლები დაეხუჭა და არ დაენახა თურქეთის მიერ იმავე ხანაში დაკავება საქართველოს ორი მნიშვნელოვანი პროვინციის.

ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი ამა თუ იმ მიზეზით დასუსტდა, თურქეთი შეეცდება ან საბოლოოდ დაიკავოს მთელი ამიერკავკასია, ან დროებითის სახით მისი ნაწილი, რომ გზა გადაუჭრას მარგანეცისა და ნავთის მიერ გამოწვეულ აღზნებულ მადის მქონეთ. ძნელია იმის გათვალისწინება, თუ რა შედეგები მოყვება ამას.

ჩვენის აზრით, ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ არც ის მფარველობითი როლი, რომელიც საფრანგეთს მიეკუთვნა აღმოსავლეთში ფრანსუა პირველის დროიდან, არც ის სამსახური, რომელსაც ჩვენ ჩერქეზები გვიწვევენ სირიაში და არც ის ვალდებულებანი, რომელიც ანკარასთან შეთანხმების შემდეგ ჩვენ ვიკისრეთ კილიკიაში მცხოვრებ სომხის მოსახლეობის მიმართ. ერთი სიტყვით, უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსენებული ჰიპოტეზა გამართლდა, ჩვენი ინტერესები უნდა გადაიხაროს ან ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის აღდგენისაკენ, ან კავკასიის ფედერაციის შექმნისაკენ მზგავსად იმ ფედერაციისა, რომელსაც დიდი ომის შემდეგ ეფემერული არსებობა ჰქონდა.»

**ა ნ ბ ა რ ი შ ი**

ქართული საარქეოლოგიკო და საკულტურო მასალების გამომცემის ფონდისა.

როგორც «დამ. საქართველოს» № 146-ში იყო გამოცხადებული, 24 მაისს ამა წლისა ფონდის შემოსავალი იყო სულ 14.386 ფრ. და 85 სანტ. იქვე აღნიშნული იყო, რომ ეს თანხა მოხმარდა პირველი წიგნის — «არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს» — გამომცემას და დარჩა მისაცემი იმავე წიგნის ანგარიშში ბ ნ ვ. ნოზაძისათვის 1.215 ფრანკი. მას შემდეგ შემოსწირეს:

1. ბაგრატი სამხარაძემ 100 ფრანკი.
  2. ბ-მა შავლაყაძემ 50 ფრ.
  3. ნიკო რუხაძემ 50 ფრ.
  4. მიშა ჩუბინიძემ 300 ფრ.
  5. ლევან მამულაიშვილმა 100 ფრ.
  6. მანჯურიაში ქართველთა ასოციაციამ (გადმოგზავნილი საზოგადოების თავმჯდომარის ლ. ხავთასის და მდივნის ყ. კობახიძის მიერ) 407 ფრ. და 75 ს.
  7. ვასო წულაძემ 77 ფრ.
  8. წინა აზრის ქართველთა ჯგუფისაგან (ბ-ნ ვასო წულაძის მიერ გადმოცემული) 1563 ფრ. შემომწირველნი არიან:
- ბ-ნი ვახტანგი 345 ფრ.
  - ბ-ნი ალექსანდრე 345 ფრ.
  - ბ-ნი ვასილი 345 ფრ.
  - ბ-ნნი შალვა და თედო 230 ფრ.
  - ბ-ნი დიმიტრი 115 ფრ.
  - ბ-ნი ბ. ქლენტი 183 ფრ.

სულ შემოვიდა 24 მაისის შემდეგ დღემდის 2.647 ფრ. და 75 სანტ. მიეცა ბ-ნ ვ. ნოზაძეს პირველი წიგნის გამომცემის ანგარიშში 1215 ფრანკი. დარჩა მეორე წიგნის გამოსაცემად 1432 ფრანკი და 75 სან. უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ყველა ზემო აღნიშნულთ შემომწირველთ.

პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი.

**ბუბერკ. ავაღშ. ქართვ. დამხმარე კომ — ბან**

კომიტეტი უღრმეს მადლობას მოახსენებს საქართველოს რესპ. პრეზიდენტს და მთავრობას ყოველწლიური უხვი შემოწირულობისათვის. უღრმეს მადლობას უძღვნის აგრედვე უხვი შემოწირულობისათვის ბატონთ: ნოე ცინცაძეს, ექიმ ა. ქორაქოლიანს, შ. სკამქოჩიშვილს, ე. მაჭავარიანს, ნ. ჯაყელს, დ. ქორაქოლიანს (ორიენტალი), მ. კედიას და პაპუაშვილს («დელის»), შავლაყაძეს, რომანიშვილს, შ. ნ — და ქ-ნ X ს, ა. ასათიანს, ქ-ნთ ბელე და ლილის, ქ-ნ ბაბეს, ბაის, ბ ნთ ბარამიძეს, ბარნოვს, ე. გეგეუკორს, გ. გვაზავას, კ. გვარჯალაძეს, ი. გოგოლაშვილს, ვ. გოგუაძეს, ა. გამსახურდიას, გ. გორგიშვილს, დ. გაწერელიას, ა. გამყრელიძეს, კნ. თამარ ერისთავისას (მის ბანაზე შეგროვილი თანხა).

(შემდეგი და დასასრული იქნება)